საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030115596635819

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/18478 **29 / ოქტომბერი / 2019 წ.**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი დუგლაძეს

ასლი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს

ფრიად სასწრაფო!

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წელს 3 ნოემბერს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება ერთი მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა“ და მეორე მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენდა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის N1830 განკარგულება. ხსენებული განკარგულებისა და შემდგომში, დადებული ხელშეკრულების თანახმად, „სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - № 236035517) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, უსასყიდლოდ, გადაეცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადით (დანართი ხელშეკრულება და საქართველოს მთავრობის 1830 განკარგულება). აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურება მიმდინარე წლის 3 ნოემბერს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - № 236035517) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მართვის გაგრძელება კიდევ 5 წლის ვადით.

გთხოვთ უზრუნველყოთ შესაბამისი ღონისძიებების შემჭიდროებულ ვადებში გატარება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - № 236035517) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის ისევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამატებით 5 წლის ვადით მართვის მიზნით.

პატივისცემით,